

რადიოების წინასაარჩევნო მონიტორინგი

16 ივლისი - 16 აგვისტო

„ინტერნიუსი-საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის, „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“, ფარგლებში ახორციელებს რადიოარხების მონიტორინგს. მონიტორინგი 15 ივნისს დაიწყო და 15 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდება. იგი მოიცავს 12 რადიომაუწყებლის სადამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგს. ესენია: „რადიო 1“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „იმედი“, „ფორტუნა“, „რადიო თავისუფლება“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „მწვანე ტალღა“, „ჰერეთი“, „ძველი ქალაქი“, „ათინათი“, „მაესტრო“ და „აჭარა“.

რადიოარხების მეორე თვის მონიტორინგმა (16 ივლისი - 16 აგვისტო) შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოავლინა:

- საპრეზიდენტო კანდიდატებიდან ყველაზე მეტი დრო კოალიცია "ქართული ოცნების" კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს ეთმობოდა;
- საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები თითქმის არ გაშუქებულა;
- სიუჟეტებში ხშირად არ იყო ნახსენები წინასტორია, რაც ინფორმაციის აღქმას ართულებდა;
- ყველაზე მეტი დრო მთავრობას, კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო;
- სიუჟეტები ხშირად მხოლოდ ერთ წყაროს ეყრდნობოდა და გავრცელებული ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებთან გადამოწმებული არ იყო;
- წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, რადიომაუწყებლების ახალი ამბები ხშირად იდენტური იყო: სიუჟეტებში თემებს ერთნაირი კუთხით განიხილავდნენ და რესპონდენტების ერთი და იგივე კომენტარები გვხვდებოდა;
- სიუჟეტები ძირითადად, პოლიტიკოსების განცხადებების მშრალი ციტირებით შემოიფარგლებოდა. ჟურნალისტები ნაკლებად სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს;

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ დაფიქსირებულა ხმით / მუსიკით მანიპულირების შემთხვევები.


„რადიო 1“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი)

„რადიო 1“ პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 2 საათი და 13 წუთი დაეთმო. ამ დროის 20% საპრეზიდენტო კანდიდატები გაშუქდნენ. სხვა რადიომაუწყებლებისგან განსხვავებით, „რადიო 1-მა“ მცირე დრო კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამების განხილვასაც დაუთმო.

რაც შეეხება მონიტორინგის სხვა სუბიექტებს, ყველაზე მეტი დრო მთავრობას (21%), „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (18%) და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო (15%). ამასთან, ჟურნალისტები ფაქტებს სუბიექტური შეფასებების გარეშე გადმოსცემდნენ. საინფორმაციო გამოშვებები მონიტორინგის რომელიმე სუბიექტის მიმართ მიკერძოებული არ ყოფილა. შესაბამისად, განსაკუთრებით დადებით ან უარყოფით კონტექსტში არც ერთი სუბიექტი არ გაშუქებულა.

პრობლემად რჩება ის, რომ სუბიექტების კომენტარებს ჟურნალისტები ციტირებდნენ და პირდაპირ საუბარს დრო თითქმის არ ეთმობოდა. ამასთან, ახალი ამბები ხშირად აღწერილობითი ხასიათის იყო და ძირითადი კითხვები პასუხგაუცემელი რჩებოდა.

რადიო 1-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%)




„პირველი რადიო“

„პირველმა რადიომ“ მონიტორინგის ყველაზე მეტი სუბიექტი (17) გააშუქა და მათ ჯამში 4 საათი და 12 წუთი დაუთმო. აქტიურად შექედებოდნენ საპრეზიდენტო კანდიდატებიც (ჯამში საერთო დროის 21%).

„პირველი რადიო“ პირდაპირი საუბრის მაღალი პროცენტული მაჩვენებლითაც გამოირჩეოდა. მონიტორინგის სუბიექტებს საშუალოდ დროის 45% პირდაპირი საუბრისთვის დაეთმო. თუმცა, ზოგჯერ ეს პოლიტიკოსების გამოსვლების პირდაპირი, უწყვეტი ტრანსლირებით იყო გამოწვეული. მაგალითად, 8 აგვისტოს გამოშვებაში სამხედროების ფიცის მიღების ცერემონიაზე პრემიერ-მინისტრის შვიდწუთიანი გამოსვლა გადაიცა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალისტები დღის მთავარ თემებთან დაკავშირებით დაბალანსებულ სიუჟეტებს ამზადებდნენ და სხვადასხვა მხარეების პოზიციებს აშუქებდნენ. მთლიანობაში, საინფორმაციო გამოშვება მიუკერძოებელი იყო.




რადიო „პალიტრა“

რადიო "პალიტრა" მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დროიდან (3:21:17) ყველაზე მეტი დრო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (28%), მთავრობასა (21%) და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაუთმო (15%). რაც შეეხება გაშუქების ტონს, ის ყველა სუბიექტის მიმართ უმეტესწილად ნეიტრალური იყო.

ჟურნალისტები ახალ ამბებს სუბიექტური შეფასებების გარეშე გადმოსცემდნენ, სიუჟეტები უმეტესად დაბალანსებული იყო. დღის მთავარ თემებთან დაკავშირებით მზადდებოდა ვრცელი სიუჟეტები, სადაც წარმოდგენილი იყო დაინტერესებული მხარეების პოზიციები და ექსპერტთა ანალიზები.

რადიო პალიტრაზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%)




რადიო „მწვანე ტალღა“

რადიო „მწვანე ტალღამ“ ყველაზე მეტი დრო მთავრობას (24 წთ.) დაუთმო, შემდეგ მოდის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (18 წთ.) და კოალიცია „ქართული ოცნება“ (12 წთ.). ჯამში მონიტორინგის სუბიექტებს 1 საათი და 55 წუთი დაეთმო.

ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და მონიტორინგის სუბიექტების პირდაპირ საუბარსაც აშუქებდნენ. თუმცა, ახალი ამბები მაინც მშრალად და ზედაპირულად შუქდებოდა, რაც რაოდენობრივ მონაცემებშიც აისახა: უარყოფითი ტონი პროცენტულად მინიმალურია და ყველა შემთხვევაში ნეიტრალური ტონი სჭარბობს. ჟურნალისტები ნაკლებად სვამდნენ მწვავე კითხვებს, არ უღრმავებოდნენ პრობლემებს და არ ცდილობდნენ საკითხის ირგვლივ დაინტერესებული მხარეების ან ექსპერტების პოზიციების გაშუქებას. ფაქტობრივად, ახალი ამბები პოლიტიკოსების განცხადებების ციტირებით შემოიფარგლებოდა.

რადიო მწვანე ტალღაზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%)




რადიო „თავისუფლება“

რადიო "თავისუფლება" მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 3 საათი და 25 წუთი დაუთმო. გაშუქებულ სუბიექტებს შორის ყველაზე მეტი დრო მთავრობას (58 წთ.), კოალიცია "ქართულ ოცნებას" (47 წთ.) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (41 წთ.) დაეთმო. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით 56%-ით შემცირდა პრემიერ-მინისტრისთვის დათმობილი დრო და პოზიტიურად გაშუქების მაჩვენებელი.

საპრეზიდენტო კანდიდატებიდან ყველაზე დიდი დრო "ხალხის პარტიის" ლიდერ კობა დავითაშვილსა და კოალიცია "ქართული ოცნების" კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს დაეთმო. მთლიანობაში, საინფორმაციო გამოშვებებში მიკერძოების შემთხვევები არ გამოვლენილა. დღის მთავარ თემებთან დაკავშირებით სიღრმისეული სიუჟეტები მზადდებოდა, რაც ტონთა სიჭრელზეც აისახა. გარდა ამისა, ჟურნალისტები რამდენიმე

წყაროსთან გადამოწმებულ ინფორმაციას ავრცელებდნენ და სუბიექტებს დროს პირდაპირი საუბრისთვისაც უთმობდნენ.




რადიო „მაესტრო“

რადიო „მაესტრომ“ მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას თითქმის 6 საათი დაუთმო. აქედან ყველაზე მეტი დრო წილად ხვდათ: მთავრობას (35%), „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (17%) და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (16%). აღსანიშნავია, რომ მმართველ გუნდს უარყოფით ტონში გაშუქების გაცილებით ნაკლები მაჩვენებელი დაუგროვდა (12%), ვიდრე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (32%).

არათანაბრად გადანაწილდა პირდაპირი საუბრის წილიც. მაშინ, როდესაც გიორგი მარგველაშვილს დროის 28% პირდაპირი საუბრისთვის დაეთმო, დავით ბაქრაძე 100% ირიბად გააშუქეს. ამასთან, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (12%) და პრემიერს უფრო (20%) მეტი პირდაპირი გაშუქების მაჩვენებელი ჰქონდათ, ვიდრე პრეზიდენტსა (4%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (6%).

ახალი ამბების სიუჟეტები ხშირად დაუბალანსებელი იყო; ჟურნალისტები ინფორმაციას ზედაპირულად და ერთ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებდნენ. მაგალითად, 1 აგვისტოს გასულ სიუჟეტში პრეზიდენტი თავდაცვის სამინისტროს ადანაშაულებდა და აცხადებდა, რომ ჯარისკაცები საკვებით რეგულარულად იწამლებიან. ამ თემის გაშუქება მიხეილ სააკაშვილის განცხადების ციტირებით შემოიფარგლა: ჟურნალისტს არც მეორე მხარის პოზიცია გაუშუქებია და არც თავად უცდია დამატებითი ინფორმაციის მოძიება.




რადიო „ფორტუნა“

რადიო „ფორტუნამ“ მონიტორინგის სუბიექტები 1 საათი და 23 წუთი გააშუქა, საიდანაც 27 წუთი მთავრობას, 18 წუთი კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და 14 წუთი „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო. რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატებს, მათი საქმიანობა ნაკლებად შუქდებოდა. წუთზე მეტი დრო მხოლოდ გიორგი მარგველაშვილსა და დავით ბაქრაძეს დაეთმო. ახალ ამბებში კანდიდატების

საარჩევნო პროგრამებთან დაკავშირებით ინფორმაცია თითქმის არ გასულა. ისინი მხოლოდ ოპონენტთა კომენტარების შეფასებისას ან მოსახლეობასთან შეხვედრების დროს შუქდებოდნენ.

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ჟურნალისტები რესპონდენტთა კომენტარებს ციტირებდნენ და მონიტორინგის სუბიექტების ხმიანი კომენტარები საერთოდ არ ყოფილა. ტონის მიხედვით შეინიშნება, რომ ჯამში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და პრეზიდენტს შედარებით მეტი უარყოფითად გაშუქების მაჩვენებელი დაუგროვდათ, ვიდრე მმართველ გუნდსა და პრემიერ-მინისტრს. თუმცა, ტონთა მსგავსი გადანაწილება მიკერძოებული გაშუქებიდან არ გამომდინარეობდა და ახალი ამბების თემატიკით იყო გამოწვეული. ჟურნალისტები არც სუბიექტურ შეფასებებს აკეთებდნენ და არც რომელიმე კანდიდატის მიმართ გამოხატავდნენ უარყოფით ან დადებით დამოკიდებულებას.




რადიო „იმედი“

რადიო „იმედი“ მონიტორინგის სუბიექტებს 3 საათისა და 11 წუთის განმავლობაში აშუქებდა. სუბიექტებს პირდაპირი საუბრის საშუალებაც ეძლეოდათ.

ყველაზე მეტი დრო მთავრობას (25%), „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (20%) და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (18%) დაეთმო. მათ უარყოფით ტონში გაშუქების ერთნაირი მაჩვენებელი დაუგროვდათ, თუმცა პოზიტიურ ტონში შედარებით ნაკლები დრო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ სიუჟეტები დაბალანსებულია. თუმცა, შეიმჩნევა კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის დადებითად წარმოჩენის ტენდენცია. მაგალითად, ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშის შესახებ მომზადებულ სიუჟეტში არ გაშუქებულა ის ნაწილი, სადაც გიორგი მარგველაშვილის მიერ ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებაზე იყო საუბარი. ამასთან, გიორგი მარგველაშვილი დათმობილი დროის 53% დადებით კონტექსტში გაშუქდა, ხოლო დავით ბაქრაძეს მხოლოდ 4 წუთზე ნაკლები დრო დაეთმო და ისიც ნეიტრალურ და ნეგატიურ ტონში.

რადიო იმედზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%)




რადიო ათინათი (ქ. ზუგდიდი)

რადიო „ათინათის“ ეთერში მონიტორინგის სუბიექტებს მხოლოდ 35 წუთი დაეთმო. აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო კანდიდატები თითქმის არ გაშუქებულან: წუთზე მეტი დრო მხოლოდ ნესტან კირთაძეს (0:01:11) დაეთმო.

საანგარიშო პერიოდში რადიომაუწყებელი ძირითადად რეგიონში განვითარებულ მოვლენებს აშუქებდა: ატარებდა ქუჩის გამოკითხვებს და ადგილობრივ სოციალურ პრობლემებზე სიუჟეტებს ამზადებდა. თუმცა, ჟურნალისტები ფაქტების მშრალი გაშუქებით შემოიფარგლებოდნენ და პრობლემებთან დაკავშირებით პასუხისმგებელ პირებს კრიტიკულ კითხვებს ნაკლებად უსვამდნენ. შესაბამისად, ხშირად ახალი ამბები ამომწურავად არ იყო გადმოცემული და მხოლოდ პრობლემის დაფიქსირებით შემოიფარგლებოდა.

მთლიანობაში, რადიო „ათინათი“ მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდა და მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის მიმართ ტენდენციური არ ყოფილა.




რადიო „მველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი)

5 აგვისტოდან რადიომ „მველი ქალაქი“ საინფორმაციო გამოშვებების მომზადება ორი კვირით შეაჩერა. ამიტომ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მონიტორინგის სუბიექტებს მხოლოდ 32 წუთი დაეთმო. აქედან დროის 33% მთავრობაზე მოდიოდა, 29% - კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“, 13% - "ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე".

რადიო „მველი ქალაქზე“ საინფორმაციო გამოშვებების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივ სახელისუფლებო სტრუქტურებში კოალიცია "ქართული ოცნებისა" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელთა საქმიანობასა და საკადრო ცვლილებებს ეხებოდა. მოვლენებს ჟურნალისტები ანალიზის გარეშე, მშრალი ფაქტების წარმოდგენით გადმოსცემდნენ. ასევე ძალიან მცირე იყო სუბიექტების პირდაპირი საუბრის წილი.

თუმცა, ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და ახალ ამბებს მიუკერძოებლად აშუქებდნენ.




რადიო „ჰერეთი“ (ქ. ლაგოდეხი)

რადიო "ჰერეთმა" მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას 1 საათი და 33 წუთი დაუთმო. მთავრობას, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ყველაზე მეტი დრო დაეთმო. ამასთან, მმართველ პარტიასა და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ უარყოფით ტონში გაშუქების ერთნაირი მაჩვენებელი დაუგროვდათ: თუმცა, კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და მთავრობას პირდაპირი საუბრისთვის უფრო მეტი დრო დაეთმო.

„ჰერეთი“ აქტიურად აშუქებდა ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. ჟურნალისტები პოლიტიკურთან ერთად, სოციალურ თემატიკასაც დიდ დროს უთმობდნენ და აღმოჩენილ პრობლემებთან დაკავშირებით ოფიციალური პირების პოზიციებს აშუქებდნენ. შედარებით ნაკლები დრო დაეთმო საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქებას.

საინფორმაციო გამოშვებებში გვხვდება პირდაპირი ჩართვები მოვლენათა ეპიცენტრიდან და მონიტორინგის სუბიექტების პირდაპირი საუბარი. თუმცა, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ნაკლებად მზადდებოდა ანალიტიკური სიუჟეტები და ცალკეულ შემთხვევებში ჟურნალისტები ინფორმაციას მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებდნენ.




რადიო „აჭარა“

რადიო „აჭარამ“ მონიტორინგის სუბიექტებს 1 საათი და 23 წუთი დაუთმო. ამ დროის 70% აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, კოალიცია "ქართული ოცნება" და ცენტრალური მთავრობა გაშუქდნენ. საინფორმაციო გამოშვებებში მნიშვნელოვანი წილი პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.

მთლიანობაში, მონიტორინგის სუბიექტები უმეტესად ნეიტრალურ ტონში შუქდებოდნენ, თუმცა გამოჩნდნენ აჭარის მთავრობა იყო, რომელიც დათმობილი დროის 42% პოზიტიურად გაშუქდა. ზოგადად შეინიშნებოდა ხელისუფლების დადებითად გაშუქების ტენდენცია: სამთავრობო ინიციატივები და

განსახორციელებელი პროექტები ზედაპირულად და კრიტიკის გარეშე შუქდებოდა. ჟურნალისტები ახალი ამბების მშრალი გაშუქებით შემოიფარგლებოდნენ და ნაკლებად ამზადებდნენ ანალიტიკურ სიუჟეტებს.



დასკვნა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (16 ივლისი - 16 აგვისტო) რადიომაუწყებლები მონიტორინგის სუბიექტებს, ძირითადად, მიუკერძოებლად აშუქებდნენ. თუმცა, სიუჟეტებში ანალიზისა და ინფორმაციის წყაროთა ნაკლებობაც შეინიშნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტები ახალ ამბებს ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით არ ავრცელებდნენ, გასული ინფორმაცია, მაინც, გადაუმოწმებელი იყო და ხშირად მხოლოდ ერთ წყაროს ეყრდნობოდა.

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქება მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ამასთან, ჟურნალისტები კანდიდატებს ამა თუ იმ

პრობლემის მოგვარების ხედვებზე არ ეკითხებოდნენ და მათ მხოლოდ ოპონენტთა კომენტარების შეფასებისას ან მოსახლეობასთან შეხვედრების დროს აშუქებდნენ.

რეგიონული რადიომაუწყებლები, წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, მნიშვნელოვანად აღარ გამოირჩეოდნენ სხვა რადიომაუწყებლებისგან. მათ შემთხვევაშიც სიუჟეტები ძირითადად პოლიტიკოსთა კომენტარების მშრალი ციტირებითა და ფაქტების ზედაპირული გაშუქებით შემოიფარგლებოდა. შედარებით იკლო სუბიექტების პირდაპირი საუბრის წილმაც (განსაკუთრებით რადიო „ათინათისა“ და „ძველი ქალაქის“ შემთხვევებში).

ყველა რადიომაუწყებლის შემთხვევაში შენარჩუნდა ტენდენცია, რომ ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და არც მუსიკით / ხმით მანიპულაციის შემთხვევები დაფიქსირებულა.